ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N9

ქ.თბილისი

26 დეკემბერი, 2017 წელი
18[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
თემურ გორგაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
გოჩა თევდორაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
გიორგი მუსხელიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე

სხდომას ესწრებოდა:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ებანოიძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ ოპოზიციის საქმეა მეტი კრიტიკა და თუ ამას უმრავლესობა სწორად მიიღებს, ისევ მათთვის იქნება კარგი, რადგან ჯანსაღი და დაუღალავი კრიტიკა მათ არ მისცემს „ხელისუფლებით ტკბობის“ საშუალებას. მან დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და ისურვა, რომ 2018 წელი იყოს 2017 წელზე ბევრად უკეთესი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და დაეთანხმა ლევან ხაბეიშვილს, რომ ჯანსაღი, საქმიანი და კონსტრუქციული კრიტიკა თითოეული ადამიანისთვის არის კარგი და მნიშვნელოვანი. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი ებანოიძემ შექმნილი ფორს-მაჟორული სიტუაციის გამო, ბოდიში მოუხადა საკრებულოს წევრებს და ისაუბრა წარმოდგენილ პროექტზე. ბიზნეს-აქსელერატორი იქნება ადგილი, სადაც თბილისში რეგისტრირებული მცირე და საშუალო საწარმოები, ასევე „სტარტაპები“ შეიკრიბებიან, იმუშავებენ და ისარგებლებენ მუნიციპალური პროგრამებით. დაგეგმილია 5 ძირითადი პროგრამის ამოქმედება:

1. ზიარი სამუშაო სივრცეები - სავარაუდოდ, 600 კვ.მ.-ის მოცულობის არე, სადაც მინიმუმ 60 კომპანიისთვის იქნება შექმნილი სამუშაო პირობები;

2. ექსპერტების საკონსულტაციო მხარდაჭერა (იურისტი, ბუღალტერი, მარკეტოლოგი და ეიჩარის სპეცილისტი);

3. მოეწყობა შეხვედრების ოთახები ბენეფიციარი კომპანიებისთვის;

4. გაყიდვების ხელშეწყობის მიმართულება - შეიქმნება სტრატეგიები და ვებ.გვერდები მეწარმეებისთვის, მოეწყობა ადგილობრივი გამოფენები;

5. საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება, უცხოელი ინვესტორის მოზიდვის მიზნით.

გიორგი ებანოიძემ აღნიშნა, რომ პროექტის ჯამური ღირებულება არის 1013267 ევრო, მათ შორის, ევროკავშირის გრანტი არის 506633 ევრო, ხოლო მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, აამოქმედოს ამავე თანხის (დაახლოებით 1.5 მილიონი ლარი) მუნიციპალური პროგრამები. მისი თქმით, 2018 წელი მოხმარდება შესაბამისი პროექტების გაწერას, შენობის რეკონსტრუქციას და აღჭურვას, ხოლო 2019, 2020 და 2021 წლებში გადავალთ ბიზნესის ფორსირებულ ინკუბაციაზე. გიორგი ებანოიძემ ისაუბრა ხელშეკრულებაზე და აღნიშნა, რომ ეს არის ევროკავშირის სტანდარტული ხელშეკრულება, რომლის შემადგენელი დოკუმენტებია: ხელშეკრულება და მისი სპეციალური პირობები, საქმიანობის აღწერა, ზოგადი პირობები, საქმიანობის ბიუჯეტი, გადახდის მოთხოვნის ფორმა, ნარატიული და ფინანსური ანგარიშების ფორმა, აუდიტორული კომპანიის შემოწმების სტანდარტი, აქტივების საკუთრების უფლების გადაცემის სტანდარტული ფორმა. მისი თქმით, აღნიშნული გრანტით მუნიციპალური ბიუჯეტი გაიზრდება დაახლოებით 1.5

მილიონი ლარით, დაგეგმილი არ არის დამატებითი ხარჯის გაწევა, რადგან ეკონომიკური განვითარების საქალქო სამსახურს აქვს თავისი ბიუჯეტი და ყოველწლიურად ახორციელებს ბიზნესის ხელმშეწყობ პროექტებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლილე ლიპარტელიანი, იქიდან გამომდინარე, რომ საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება უწევს ფორს-მაჟორულ სიტუაციაში, დაინტერესდა მიზნობრივია თუ არა გრანტი, როგორ შეირჩევა ბენეფიციარი კომპანიები და ასევე, ითხოვა მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების და განსახორციელებელი პროექტების დაკონკრეტება.

გიორგი ებანოიძემ განმარტა, რომ გრანტი მიზნობრივია და განკუთვნილია ბიზნეს-აქსელერატორის შესაქმნელად, კერძოდ: დაახლოებით 190000 ევრო მიმართული იქნება ბიზნეს-აქსელერატორის შენობის რეკონსტრუქციის და აღჭურვისთვის; დანარჩენი თანხა მიმართული იქნება ექსპერტების და კონსულტანტების დასაქირავებლად, რომლებიც მოემსახურებიან კერძო ბიზნესებს და აქსელერატორის ადმინისტრაციული ხარჯისთვის მიმართული იქნება ძალიან მცირედი თანხა, რადგან ადმინისტრაციაში გათვალისწინებულია მხოლოდ ორი ადამიანი. ასევე აღნიშნა, რომ გრანტი არის ოთხ წლიანი, იწყება 2018 წელს და პირველი წელი განსაზღვრულია ბიზნეს-აქსელერატორის სივრცის შესაქმნელად და პროგრამების დასამუშავებლად და საკრებულოსთან შესათანხმებლად, ხოლო შემდეგი სამი წლის განმავლობაში დაიწყება უშუალოდ პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტი კონტრიბუციაში შედის პროგრამების განხორციელებით და ვალდებულებას იღებს 2019-2021 წლების განმავლობაში დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი მოახმაროს შემდეგ პროგრამებს:

1. ბიზნეს-გეგმების მომზადება ბიზნეს-აქსელერატორის ბენეფიციარებისთვის - გრანტის ფარგლებში დაგეგმილია 120 ბიზნეს-გეგმის მომზადება ანუ სტარტაპი, რომელსაც აქვს იდეა, ექსპერტები დაეხმარებიან მომზადდეს სტრატეგიული, მარკეტინგული და ფინანსური გეგმები იმისთვის, რომ სტარტაპმა შეძლოს ბანკთან მარტივად საუბარი, ჰქონდეს წარმოდგენა, რა მიზანს უნდა მიაღწიოს და რა გზა უნდა გაიაროს ბიზნესის დასაწყებად.

2. ადგილობრივი გამოფენების ორგანიზება, რომელიც ჩაშლილია ორ ქვეპროგრამად: მსხვილი და მცირე გამოფენები, რომლებს შორისაც სხვაობა არის მხოლოდ ოდენობაში და მათი მიზანია წევრი კომპანიებისთვის, პრესტიჟულ ადგილებში სივრცეების დაქირავება და მათი პროდუქციის წარდგენა, რაც ხელს შეუწყობს გაყიდვებს.

3. მონაწილეობა საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმებში, რისი გამოცდოლებაც მუნიციპალიტეტს აქვს, თუმცა ამ ეტაპზე დაგეგმილია, კერძო სექტორთან ერთად, მონაწილეობის მიღება უფრო მსხვილ ბიზნეს-ფორუმებში, რათა ინვესტორებისთვის შეთავაზებული იყოს უკვე ინკუბირებული, გაზრდილი და ჩამოყალიბებული ბიზნესები. დაგეგმილია წლის განმავლობაში ორ, ხოლო სამი წლის მანძილზე ექვს საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა.

4. გაყიდვების წახალისების მიზნით, შეიქმნება ვებ.გვერდის „შაბლონები“ და ბენეფიციარ კომპანიებს ჩაუტარდებათ ტრენინგები თუ როგორ გამოიყენონ ეს „შაბლონები“, როგორ უნდა მოახდინონ მათი მოდიფიკაცია და როგორ გახდნენ უფრო ცნობილები.

გიორგი ებანოიძემ განმარტა, რომ კომპანიების შერჩევა მოხდება კომისიური წესით, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან და კომისია გადაწყვეტს, თუ რომელი სფეროა პრიორიტეტი ქალაქის განვითარებისთვის და ამა თუ იმ იდეას აქვს თუ არა სიცოცხლის უნარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი ნამდვილად მისასალმებელია, აღნიშნა, რომ ბიზნეს აქსელერატორების და ბიზნეს-ინკუბატორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია კრეატიული ინდუსტრიის მიმართულება და დაინტერესდა, დიზაინზე და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მომუშავე სტარტაპებისთვის თუ არის

გათვალისწინებული სფეციფიკა. ასევე, დაინტერესდა, თუ ვინ შეარჩევს ექსპერტებს - ესენი იქნებიან ადმინისტრაციის თანამშრომლები?

გიორგი ებანოიძემ აღნიშნა, რომ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გააკეთოს აქსელერატორმა განხილული იქნა უამრავი იდეა და შესწავლილი იქნა უცხოური გამოცდილება და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოხდა იდეების შერჩევა. დაეთანხმა თამარ ტალიაშვილს, რომ ბიზნეს აქსელერატორების და ბიზნეს-ინკუბატორების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა კრეატიული ინდუსტრია და ამ შემთხვევაშიც უკვე გაწერილია, რომ ინოვაციური იდეები, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიის, დიზაინის, მოდის და სხვა - წახალისებული იქნება და თუ ის აღმოჩნდება სიცოცხლისუნარიანი, შესაძლებელი იქნება მისი ჩართვა აქსელერატორის მომსახურებებში. რაც შეეხება ექსპერტების შერჩევას, გრანტის კონცეფციის თანახმად, ძირითადი განმცხადებელი არის თბილისის მერია, თუმცა, იგეგმება მჭიდრო თანამშრომლობა არასამთავრობო და კერძო სექტორებთან, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომლები ძირითადად დაკავებული იქნებიან ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერტები იყვნენ სწორად შერჩეული, განსაკუთრებით იურისტები, რადგან „ბევრი გვინახავს ადვოკატის და ბუღალტრის მიერ დაღუპული კომპანიები“ და აქედან გამომდინარე, სასურველია ამ პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა და მასში საკრებულოს აქტიური ჩართულობა. ლევან ჯორჟოლიანმა იმედი გამოთქვა, რომ პროექტის დასრულებისას იქნება რეალური შედეგი და დამწყები ბიზნესმენები შეძლებენ ინვესტიციის მოზიდვას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე _____ გიორგი ახვლედიანი